



საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკა

ძირითად მიმართულებების მიმოხილვა

2007 წლის 17 დეკემბერი

შესავალი

საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 7 ივნისს მიიღო დადგენილება “საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების” შესახებ, რომელიც განმარტავს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის არსს და სახავს მისი განხორციელების გზებსა და საშუალებებს. პარლამენტის ეს დადგენილება ელქტროენერჯისა და გაზის შესახებ საქართველოს კანონს ეფუძნება (კანონი 1997 წელს იქნა მიღებული). ამასთანავე მასში ნაწილობრივ არის ასახული საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ჩატარებულ კვლევებსა და ნაშრომებში გაკეთებული დასკვნები საქართველოს ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივებისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ.

ეფექტური ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოში ქართველი ენერგეტიკოსებისა და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით რამდენიმე კვლევაა ჩატარებული. ბევრი ასეთი ნაშრომი გამოქვეყნდა და დაინტერესებული მკითხველისათვის ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე, მაგალითისათვის: 2002-2003 წლებში პროფ. დ. ჩომახიძის რედაქტორობით შემუშავდა „საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების სტრატეგია“; 2004 წელს გამოვიდა ენერგეტიკის სფეროში ცნობილი ქართველი მეცნიერებისა და ექსპერტების კოლექტიური ნაშრომი „საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია“; 2005 წელს საქართველოს ახალი ხელისუფლების დაკვეთით ენერგეტიკის სამინისტროსთან შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა „საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგიაზე“, რომელიც 2006 წელს დასრულდა (ეს სტრატეგია ჯერ არ გამოქვეყნებულა).

2006 წელს „ამერიკის განვითარების სააგენტოს“ დაფინანსებით ჩატარდა კვლევა – “საქართველოს გაზის უსაფრთხოების სტრატეგია” – ორ ნაწილად. პირველის ავტორია ამერიკელი ექსპერტი პოლ ბალონოვი, ხოლო მეორესი – ქართველი ექსპერტი თეიმურაზ გოჩიტაშვილი. არაერთი გამოკვლევაა ჩატარებული და ნაშრომი დაწერილი საქართველოს ენერგეტიკის სხვადასხვა სემინტების განვითარების გზებისა და პერსპექტივების შესახებაც, თუმცა საქართველოს პარლამენტის დადგენილება კონკრეტულად ამ ნაშრომებს არ ეყრდნობა.





თავი 1: საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ამოცანები და მათი განხორციელების გზები

პარლამენტის დადგენილების შესავალი ნაწილი განმარტავს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად ამოცანებს და მათი გადაჭრის გზებსა და საშუალებებს. ეს ამოცანები და მათი გადაჭრის გზები პირობითად რამდენიმე ბლოკად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1.1. ამოცანები

- ელექტროენერჯის სფეროში ადგილობრივი ჰიდრორესურსების მაქსიმალური გამოყენების საშუალებით ელექტროენერჯიაზე სამრეწველო და კომუნალური მოთხოვნის სრული დაკმაყოფილება ჯერ იმპორტირებული ელექტროენერჯის, მოგვიანებით კი იმპორტირებული გაზის საფუძველზე წარმოებული ელექტროენერჯის ჩანაცვლების საშუალებით. ამ კუთხით პრიორიტეტებად მიჩნეულია (1) არსებული მოძველებული ენერგეტიკული ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის (ჰიდროელექტროსადგურები, გადაძვები ხაზები და ა.შ.) სრული ტექნიკური გადაიარაღება და (2) ახალი, თანამედროვე ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის შექმნა;
- საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით ალტერნატიული ენერგეტიკული წყაროების (ქარის, მზის და გეოთერმული) განვითარება;
- ელექტროენერჯისა და გაზის მოწოდების წყაროების დივერსიფიცირება;
- ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის ჩართვა რეგიონის ინფრასტრუქტურაში – მისი მონაწილეობა ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში რეგიონული მასშტაბით, რისთვისაც უნდა აღდგეს არსებული ან აშენდეს მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზები და გაზსადენები;
- ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ენერგეტიკული დერეფნის განვითარება, რომელმაც უნდა მოიცვას როგორც დასავლეთ-აღმოსავლეთის (კასპისპირეთიდან შავი ზღვით ევროკავშირისაკენ), ისე ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმართულებები¹.

1.2. განხორციელების გზები

პარლამენტის დადგენილების თანახმად, საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში დასახული ძირითადი ამოცანების მისაღწევად საჭიროა შემუშავდეს სექტორის კომერციულად მომგებიანი ეკონომიკური მოდელი. ამგვარ მოდელზე გადასვლის მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევა არსებული ელექტროგენერაციის და ელექტრო და ბუნებრივი გაზის დისტრიბუციის კომპანიების პრივატიზაცია, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ენერგოსექტორში

¹ ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო დერეფნის კონცეფცია უნდა გულისხმონდეს ირანი-სომხეთი-საქართველოს შავი ზღვისპირა პორტები-ევროკავშირი ენერგეტიკული დერეფნის განვითარებას. თუმცა ეს საკითხი ჯერ არც ამ დოკუმენტში და არც სხვა დოკუმენტებში ჩამოყალიბებული არ უნდა იყოს.





ჯანსაღი კონკურენციის შექმნასა და ინვესტიციების მოზიდვას. სექტორში კერძო ინვესტიციების მოზიდვის აუცილებელ წინაპირობებად ასევე მიჩნეულია:

- ლიცენზირების და სხვა ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივების გზით ამ სექტორში ინვესტირებით დაინტერესებული ადგილობრივი და უცხოური კომპანიებისათვის ბიზნესწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- ელექტროენერგეტიკული ბაზრის ეტაპობრივი ლიბერალიზაცია და დერეგულირება², რაც საბოლოოდ ელექტროენერჯის საბითუმო მწარმოებელსა და საბითუმო მყიდველს შორის პირდაპირი კონტრაქტების დადებით უნდა გამოიხატოს;
- ბაზრის ახალი წესების დანერგვა, რამაც სექტორში მოქმედ სუბიექტებს შორის უფლება-მოვალეობების და პასუხისმგებლობების გამიჯვნა უნდა უზრუნველყოს.

დადგენილება დამატებით განმარტავს, რომ საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანების შესასრულებლად უნდა შეიქმნას სათანადო იურიდიული ბაზა შესაბამისი კანონების, კანონქვემდებარე აქტების, დადგენილებების და განკარგულებების სახით.

თავი 2: საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის მიმართულებები პრიორიტეტების მიხედვით³

2.1. ენერგოეფექტიანობის ამაღლება

პარლამენტის დადგენილების ძირითად ნაწილში საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია პრიორიტეტების სახით. დადგენილების თანახმად, სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, იგივე პრიორიტეტი ენერგოეფექტიანობის ამაღლებაა, რაც ენერგოდაზოგვას, ანუ ენერგო რესურსების ეფექტიან, ყაირათიან მოხმარებას გულისხმობს⁴.

ენერგოეფექტიანობის, იგივე ენერგოდაზოგვის პოლიტიკის მთავარ ამოცანებად მიჩნეულია (1) სამრეწველო და კომუნალურ სფეროში ენერგომოხმარებისა და ენერგოდანკარგების შემცირება და (2) კოგენერაციის⁵ სისტემების დანერგვისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებების შესწავლა-გატარება.

² დერეგულირების დროს ფასს არ ადგენს დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი კომისია არამედ, ფასი დგინდება მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით.

³ იგულისხმება, რომ პარლამენტის დადგენილებაში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები განხილულია პრიორიტეტების მიხედვით.

⁴ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ენერგოეფექტიანობის პოლიტიკის გასატარებლად საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა.

⁵ კოგენერაცია არის ბუნებრივი გაზის ბაზაზე ელექტროენერჯის წარმოების დროს წარმოქმნილი სითბოს გამოყენება წყლის გასაცხლებლად, რომელიც გამოიყენება ახლო მანძილზე მყოფი შენობების გასათბობად.





კოგენერაციის სისტემების დანერგვა გაზით ელექტროენერჯის წამოების დროს მნიშვნელოვანი საკითხია და ის რეალურად მჭიდრო კავშირშია თბოეფექტიანობის ამაღლებასთან, ვინაიდან გაზის წვის დროს წარმოქმნილი სითბო არ იკარგება და ახლო მდებარე შენობების გასათბობად გამოიყენება. თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით განახლებადი ენერჯის წყაროების შესწავლის კავშირზე ენერგოდაზოგვასთან. დამატებითი განმარტებები ამ საკითხთან დაკავშირებით დადგენილებაში მოცემული არ არის. გარდა ამისა, დადგენილების მიღების შემდეგ, სადაც აღნიშნულია, რომ ენერგოეფექტიანობის პოლიტიკის გასატარებლად შესაბამისი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნაა საჭირო, ხელისუფლებას ამ საკითხზე ჯერჯერობით არც ერთი დამატებითი საკანონმდებლო აქტი არ მიუღია.

ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე სამინისტროს საქმიანობის ძირითად მიმართულებებში (სამინისტროს მისია) ენერგოეფექტიანობის პოლიტიკა ნახსენებაც არ არის. ამ ფაქტების გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის დადგენილებაში ენერგოეფექტიანობის ამაღლება პრიორიტეტად არის დასახელებული, ხელისუფლებას ან არა აქვს სრულყოფილად ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა გატარდეს ენერგოეფექტიანობის პოლიტიკა, ან ამ ეტაპზე მისი გატარება აუცილებელ საჭიროებად არ მიაჩნია.

რაც შეეხება არასახელისუფლებო სექტორს, 2004 წელს ქართველმა ენერგეტიკის ექსპერტებმა ქართულ ენაზე მოამზადეს კოლექტიური ნაშრომი “საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია”, რომელშიც ენერგოეფექტურობის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს. ნაშრომის ავტორები მიიჩნევენ, რომ “საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში ესოდენ მაღალი ენერგოტევადობა, კონკურენტუნარიანი სასაქონლო პროდუქციის წარმოების სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორია...”⁷ ქვეყნის ენერგოეფექტურობის გაზრდის ერთ-ერთ გზად, სხვა ზომებთან ერთად, მათ შიდა ეკონომიკის სტრუქტურული – მცირე ენერგოტევადობის დარგებად და მომსახურების სფეროებად – გარდაქმნა დაასახელეს.

დისკუსია იმაზე, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული მაღალი ენერგოეფექტიანობა დღეს ქვეყნისთვის საჭიროც არის და აუცილებელიც, მით უმეტეს, რომ ევროკავშირის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, რაც ევროკავშირის შეფასებით, ენერგოდაზოგვის პოლიტიკის გატარებისა და ახალი, ნაკლებ ენერგოტევადი ტექნოლოგიების დანერგვის გზით ენერგოეფექტიანობის ამაღლებაში უნდა გამოიხატოს.

ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს ენერგოეფექტურობის ცენტრი, რომელიც 1998 წელს ვროკავშირის დაფინანსებით შეიქმნა (TACCIS-ის ქვეპროექტის სახით), თუმცა იმის გამო, რომ არ არსებობს შესაბამისი ინსტრუციური და საკანონმდებლო ბაზა,

⁶ ნაშრომის ავტორები: დ. ჩომახიძე, რ.თევზაძე, რ.არველაძე, რ.ერისთავი, თ.გოჩიტაშვილი და სხვები

⁷ რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ერთეული პროდუქტის წარმოების დროს ენერგეტიკული დანახარჯები ძალზე მაღალია





ენერგოეფექტურობის ცენტრის კვლევებს, როგორც წესი, მხოლოდ რეკომენდაციების დატვირთვა აქვს და ქვეყნის ენერგოპოლიტიკაზე რეალურ გავლენას ვერ ახდენს.

მნიშვნელოვანია, რომ დაიწყო საზოგადოებაში ფართო განმარტებითი (საინფორმაციო) კამპანიის წარმოება იმასთან დაკავშირებით, თუ რა დადებით გავლენას მოახდენს ენერგოეფექტიანობის ამაღლება როგორც მოსახლეობაზე, ასევე ზოგადად ქვეყნის ბიუჯეტზე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

2.2. ენერგოუსაფრთხოება

პარლამენტის დადგენილების მიხედვით, სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის კიდევ ერთი პრიორიტეტი ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. ამ კუთხით დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- 2.2.1. არსებული ჰიდრო და თბოსადგურების რეაბილიტაცია; არსებული გადამცემი ხაზების, მაგისტრალური და სადისტრიბუციო მილსადენების რეაბილიტაცია; ქვეყნის ენერგოსისტემის მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზების და მილსადენების აღდგენა და ბუნებრივი აირის მოხმარების გაფართოების (მათ შორის ავტომობილებში) მაქსიმალური ხელშეწყობა;
- 2.2.2. ახალი ჰიდროელექტროსადურების, შიდა და მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზების და გაზის მილსადენების, და ქვეყნის დასავლეთ-აღმოსავლეთი ნაწილებს შორის დამაკავშირებელი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის აშენება; საქართველოს ენერგეტიკული სისტემის მეზობელი ქვეყნების სისტემებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობა; იმპორტირებული და თბოსადგურებზე (იმპორტირებული გაზის ბაზაზე) წარმოებული ელექტროენერჯის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოების რესურსით და ალტერნატიული ენერჯის წყაროების გამოყენება (თუ ტრადიციული და ალტერნატიული ენერჯის წყაროები თანაბარ პირობებში მოექცევიან);
- 2.2.3. ტრანსკასპიური ენერგეტიკული დერეფნის გაფართოება;
- 2.2.4. მიწისზედა და მიწისქვეშა საცავების მოწყობა (იგულისხმება ბუნებრივი გაზის საცავები);
- 2.2.5. ნავთობისა და გაზის ადგილობრივი საბადოების გეოლოგიური შესწავლა-დამუშავება; მოქმედ საბადოებზე მოპოვების გაზრდა; ეკონომიკურად ხელსაყრელი პირობების მქონე ნახშირის საბადოების ექსპლუატაცია და ქვანახშირის ბაზაზე ახალი ტექნოლოგიებით ელექტროენერჯის წარმოების შესაძლებლობის შესწავლა;





2.2.6. სარეზერვო სიმძლავრეების არსებობის ვალდებულების დაწესება⁸: ყველა საბითუმო გამყიდველი ვალდებული იქნება, (ა) ჰქონდეს სარეზერვო სიმძლავრე მისი მოხმარების არანაკლებ გარკვეული მოცულობისა და (ბ) წლების განმავლობაში (ეტაპობრივად) სრულად გადავიდეს ადგილობრივად წარმოებული რესურსის გამოყენებაზე (მაგალითად, 2006-2009 წლებში საბითუმო გამყიდველს უნდა ჰქონდეს სარეზერვო სიმძლავრე მისი მოხმარების არანაკლებ 10%-ის ოდენობით და ის შეიძლება იყენებდეს როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე იმპორტირებულ რესურსს; 2016-2019 წლებში კი მას უნდა ჰქონდეს სარეზერვო სიმძლავრე მისი მოხმარების არანაკლებ 15%-ის ოდენობით და ის მთლიანად უნდა დაეყრდნოს ადგილობრივი წარმოების რესურსს).

ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა ჩნდება, კერძოდ:

- თუ (1) მართებულია პარლამენტის ამ დადგენილების შესავალ ნაწილში გაცხადებული განზრახვა, რომ საქართველო ენერგეტიკული თვალსაზრისით თვითკმარი ქვეყანა უნდა გახდეს, (2) თუ ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის მთავარი მიმართულება ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი ხარჯვა უნდა იყოს და (3) თუ იმპორტირებული ენერჯის და გაზის ბაზაზე წარმოებული ელექტროენერჯის ჩანაცლება ადგილობრივი წარმოების ელექტროენერჯით უნდა მოხდეს, მაშინ რა მიმართულებით უნდა შეეწყოს ხელი ქვეყანაში ძვირი, იმპორტირებული გაზის მოხმარების ზრდას⁹?
- საქართველოს აქვს მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი გაზის სადენები: რუსეთთან – ორი მილი, აზერბაიჯანთან – ორი მილი, სომხეთთან – ერთი და თურქეთთან – ერთი მილი (იგულისხმება სამხრეთ კავკასიური მილსადენი). ჯერჯერობით უცნობია, დამატებით რომელ ქვეყანასთან (ქვეყნებთან) დამაკავშირებელი გაზის მილის მშენებლობა იგულისხმება. საქართველოში დღეს არსებული გაზის მოთხოვნის გათვალისწინებით მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ახალი გაზსადენის აშენების საჭიროება არ არის, ამიტომ ეს საკითხი საფუძვლიან დასაბუთებას მოითხოვს. დამოუკიდებელი ექსპერტი თ. გოჩიტაშვილი არ ადასტურებს, რომ საქართველოს რომელიმე მეზობელ ქვეყანასთან დამაკავშირებელი ახალი გაზსადენის მშენებლობა აქტუალურად განიხილება.
- ცნობილია, რომ ენერჯის არატრადიციული ენერგეტიკული წყაროებიდან (ქარი, მზე, ბიომასა, ბიოგაზი) წარმოების პრაქტიკა საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში, განსაკუთრებით კი – ევროკავშირის ქვეყნებში. არატრადიციული წყაროებით წარმოებული ელექტროენერჯია ეკოლოგიურად სუფთა და განახლებადია, თუმცა ის საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის

⁸ სარეზერვო სიმძლავრის ქონა აუცილებელია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

⁹ გაზის მოხმარების გაზრდის ხელშეწყობის შესახებ იხ. ამ დოკუმენტის თავი 2, ენერგოუსაფრთხოება, პუნქტი 5.





დაკავშირებული და მის დასაწერად საჭიროა კარგად ჩამოყალიბებული წამახალისებელი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება. თუ ტრადიციულ და არატრადიციულ ენერგოწყაროებს ერთ პირობებში ჩავაყენებთ (როგორც ეს პარლამენტის დადგენილებაშია მოცემული), არატრადიციულ წყაროებს საქართველოში გაცილებით ნაკლები პერსპექტივა ექნება და ამგვარი პოლიტიკა არატრადიციული ენერგეტიკული რესურსების გამოყენების გაზრდას ხელს ვერ შეუწყობს. ეს ხარვეზი გარკვეულწილად გამოსწორდა “ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ” კანონში 2007 წლის 8 ივნისს შესული შესწორებით, რომლითაც სისტემის კომერციულ ოპერატორს¹⁰ დაეკისრა ვალდებულება, შეისყიდოს არატრადიციული ენერგეტიკის წყაროს საფუძველზე წარმოებული ელექტროენერჯია მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი გრძელვადიანი ტარიფით¹¹.

- გაზის მიწისქვეშა და მიწისზედა საცაგების მოწყობა საკმაოდ ძვირი ჯდება და შესაბამისად, საჭიროა, რომ ეს საბუთო კომერციულად კარგად იყოს დასაბუთებული. თუ ხელისუფლება გეგმავს, რომ ენერგოეფექტიანობის გაზრდის და ადგილობრივ რესურსზე გადასვლის გზით შეამციროს გაზის მოხმარება, შესაძლებელია უმჯობესი იყოს, რომ ძვირადღირებული გაზსაცავის აშენებისგან თავი შეიკავოს და აქცენტი მეზობელ ყვეფენებში არსებული საცაგების ქირობაზე გააკეთოს.

2.3. ელექტროგამანაწილებელ ხაზებზე და გამანაწილებელ ქსელებზე მესამე მხარის დაშვება

პარლამენტის დადგენილებაში ელექტროგამანაწილებელ ხაზებზე და გამანაწილებელ ქსელებზე მესამე მხარის დაშვება გამოტანილია როგორც ენერგეტიკული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. მესამე მხარის დაშვება გულისხმობს, რომ განაწილების ან/და გადაცემის ლიცენზიანტმა დადგენილი ტარიფის გადახდის შემთხვევაში ქსელში (გაზის შემთხვევაში – მილსადენში) ელექტროენერჯია (ან გაზი) უნდა გაუტაროს ყველა იმ პირს, რომელიც კანონით უფლებამოსილია, რომ ელექტროენერჯია (ან გაზი) მიაწოდოს უშუალო მომხმარებელს. მესამე მხარის აუცილებელი დაშვება ქმნის იმის წინაპირობას, რომ მომხმარებელმა შეძლოს თავად აირჩიოს მისთვის სასურველი მიმწოდებელი (სხვადასხვა მიმწოდებლების მიერ შეთავაზებული პირობების გათვალისწინებით).

ამ დებულების თანახმად, 2006-2009 წლებში გადამცემ და გამანაწილებელ ქსელში უნდა დაიშვას ყველა ის მომხმარებელი, რომლის წლიური მოხმარებაც შეადგენს არანაკლებ 30 მილიონ კილოვატს საათში. ეს მოთხოვნა ეტაპობრივად შემცირდება და 2023 წლისათვის გამანაწილებელ ქსელებში დაიშვება ყველა ის მომხმარებელი, რომლის წლიური მოხმარებაც 1კვ.სთ. იქნება. ამგვარად უზრუნველყოფილი იქნება მომხმარებლის უფლება აირჩიოს მისთვის ყველაზე მისაღები მიმწოდებელი.

¹⁰ სისტემის კომერციული ოპერატორი აწარმოებს ელექტროენერჯის ყიდვა/გაყიდვის ოპერაციებს.

¹¹ საქართველოს კანონი ნავთობისა და გაზის შესახებ, თავი III, სახელმწიფო პოლიტიკა ნავთობისა და გაზის სექტორში, მუხლი 3, პუნქტი მ.





ელექტროენერჯის გატარება მოხდება დამოუკიდებელი მარეგულირებლის მიერ მოცემული მომენტისათვის დადგენილი ტარიფის მიხედვით.

2.4. აღრიცხვიანობა

პარლამენტის დადგენილება სახელმწიფო პოლიტიკის ჭრილში განიხილავს კომუნალური გამრიცხველიანებიდან ინდივიდუალურ გამრიცხველიანებაზე გადასვლის აუცილებლობას.

კომუნალური გამრიცხველიანება თავის დროზე მომხმარებელთა ინტერესების და საზოგადოდ ადამინის უფლებათა სრული იგნორირებით მოხდა. კომუნალური გამრიცხველიანების პრაქტიკა და ინდივიდუალურ გამრიცხველიანებაზე გადასვლის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანა საზოგადოდ ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის განვითარების დაბალ დონეზე მიუთითებს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს და ის დროულად დარეგულირდეს, რადგან სრულიად გაუძარტლებელია მომხმარებელი აიძულო გადაიხადოს არა უშუალოდ მის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური, არამედ რაღაც ჯამური თანხა, რომელშიც შედის როგორც მისი, ასევე მისი მეზობლების (და ზოგ შემთხვევაში ადგილობრივი საწარმოების მიერ მოხმარებული) ელექტროენერჯის ხარჯებიც.

დადგენილებაში არაფერია ნახსენები სავალდებულო ინდივიდუალური გამრიცხველიანების საბოლოო ვადების შესახებ.

2.5. ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

დადგენილების მიხედვით, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით უნდა მოხდეს (1) ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურის გამარტივება ენერგეტიკის სექტორში, (2) 2007 წლის იანვრის შემდეგ აშენებული ჰიდროელექტროსადგურების დერეგულირება, (3) საპრივატიზაციოდ გამოტანილი ენერგეტიკული ობიექტების ძველი დავალიანებებისაგან გათავისუფლება, (4) პრივატიზების გამჭვირვალედ ჩატარება და (5) პრივატიზაციაში მონაწილე მხარეების უფლებამოვალეობების გამიჯვნა.

ამ პუნქტების განხორციელების თვალსაზრისით ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჯერჯერობით რაც შეიძლება გადაჭრით ითქვას საპრივატიზაციო ობიექტები ნამდვილად გათავისუფლდა ძველი დავალიანებებისაგან (ასე გაიყიდა გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია), 2007 წელს ახალი ჰიდროსადგურები არ აშენებულა ამიტომ ჯერ ვერ ვიტყვით შესრულდა თუ არა პუნქტი დერეგულირების შესახებ, გაერთიანებული ენერგოკომპანიის გაყიდვა გამჭვირვალედ არ მომხდარა, (დღემდე არ იცის საზოგადოებამ ვინ არის რეალურად ენერგო-პროს მფლობელი), არა გამჭვირვალე გარემოში პრივატიზაციაში მონაწილე მხარეების უფლება მოვალეობების გამიჯვნაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რაც შეეხება ენერგეტიკულ; სექტორში ლიცენზიებისა და ნებართვების გამარტივებას, საქართველოს ენერგეტიკული ბაზარი მონოპოლურია. არსებული პროცედურების გამარტივება ნიშნავს დეკლარირებულ სურვილს შეიქმნას ლიბერალური ენერგეტიკული ბაზარი, რისთვისაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი.





ინვესტიციების წახალისების მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა 2006 წლის 30 ივნისს ხელი მოაწერა კანონს „ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიზანია აუცილებელი პროცედურების გამარტივებითა და დამატებითი ხელსაყრელი რეჟიმის შექმნის საშუალებით ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა და ამ სფეროში მისი (მთავრობის) ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. ეს სააგენტო უფლებამოსილია იყოს ინვესტორის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობაში. ამისთვის ინვესტორსა და სააგენტოს შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს წარმომადგენლობის ფარგლებს. მიუხედავად სურვილისა ამ კვლევის პროცესში ვერ დადგინდა რაიმე დადებითი როლი ითამაშა თუ არა საინვესტიციო სააგენტომ გართიენებული სადისტრიბუციო კომპანიის ენერგო-პრო ჯორჯიასათვის მიყიდვის პროცესში¹².

2.6. ენერგეტიკული სექტორის ეკონომიკური მდგრადობა

საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში დასახული ძირითადი ამოცანების მისაღწევად პარლამენტის დადგენილება ერთ-ერთ საშუალებად სექტორის კომერციულად მომგებიანი ეკონომიკური მოდელის შემუშავებას განიხილავს. ამ მოდელზე გადასვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად მიიჩნევა არსებული ელექტროენერჯის და ელექტრო და ბუნებრივი გაზის დისტრიბუციის კომპანიების პრივატიზაცია, თუმცა იქვე მითითებულია, რომ იმისთვის, რომ არ მოხდეს ბაზრის მონოპოლიზაცია, პირს ან პირთა ჯგუფს არ ექნებათ უფლება შეისყიდონ ელექტროენერჯის წარმოებისა და გადანაწილების 70%-ზე მეტი.

პრივატიზაციის გარდა ამ ნაწილში დადგენილება ყურადღებას ამახვილებს ენერგეტიკული და გაზის ბაზრის ლიბერალიზაციაზე და ეტაპობრივ დერეგულირებაზეც, რასაც უნდა მოყვეს ელექტროენერჯის მწარმოებელ და ბითუმად შემსყიდველ კომპანიებს შორის პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება, და ელექტროენერჯისა და გაზის საბაზრო წესების სრული ამოქმედება.

ჯერჯერობით ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრებს არეგულირებს დამოუკიდებელი მარეგულირებელი კომისია, ხოლო მწარმოებლებს, სატრანსპორტო კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობებს აწესრიგებს ელექტროენერჯისა და გაზის საბაზრო წესები. ეს წესები შემუშავებული და მიღებული იქნა 2006 წელს პროცესში მონაწილე მხარეებს შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე.

თავი 3: ტარიფები

საქართველოს ეროვნული ენერგეტიკული კომისია ადგენს ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისტრიბუციის, განაწილების, გატარების, იმპორტისა და მოხმარების ტარიფებს; აგრეთვე – გაზის ტრანსპორტირების, განაწილების და სამომხმარებლო ტარიფებს. ტარიფები დგინდება ლიცენზიის მფლობელი კომპანიების მიერ წარდგენილი

¹² ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს საიტზე არ არის ასეთი ინფორმაცია.





კაპიტალის, წარმოების, ტრანსპორტირების, დისპერხიზაციის, გადაცემისა და განაწილების დანახრჯებს დამატებული ზღვრული მოგების გაანგარიშების საფუძველზე¹³.

ტარიფების დადგენის ძირითადი მიზანი მომხმარებლის მონოპოლური ფასებისგან დაცვაა, თუმცა ამ პროცესით ასევე ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ ენერგეტიკულ სექტორს ჰქონდეს გრძელვადიანი და მდგრადი ფინანსური და ტექნიკური განვითარების საშუალება. სწორად და სამართლიანად დადგენილი ტარიფი უზრუნველყოფს იმას, რომ ერთის მხრივ დაცული იყოს მომხმარებლის ინტერესები (არ გადაიხადოს მონოპოლური ფასი,) და მეორეს მხრივ ენერგეტიკულმა კომპანიებმა შეძლონ გაწეული დანახრჯების დაფარვა, რეინვესტირებისთვის საჭირო სახსრების მობილიზაცია და მოგების მიღება.

ასეობს ტარიფების რამდენიმე ტიპი, ესენია: სეზონური, პიკური (სადღელამისო), ბიჯური (ანუ მოხმარების მოცულობის მიხედვით დათვლილი), გრძელვადიანი წინასწარ დაფიქსირებული და ზღვრული. სეზონური (ზამთარ/ზაფხულის) და პიკური (დილა/სადამოს განსაკუთრებით ზამთრის თვეებში) ტარიფების გამოყენება არ უნდა იყოს სავალდებულო და უნდა ხდებოდეს გამყიდველსა და მომხმარებელს შორის შეთანხმების საფუძველზე, ხოლო ბიჯური ანუ მოხმარების მოცულობაზე დათვლილი ტარიფის, ასევე გრძელვადიანი წინასწარ დაფიქსირებული ტარიფის (ეს ტარიფი გამოიყენება ძვირი განახლებადი წყაროების მზის, ქარის, ბიოგაზის, გეოთერმული მიმართ) გამოყენება სავალდებულოა ელექტროენერჯის ყველა გამყიდველისა და მომხმარებლისათვის¹⁴, გარდა კომუნალური მრიცხველებით მოსარგებლე მომხმარებლებისა.

ამჟამად საქართველოში მოქმედებს ელექტროენერჯიაში - ბიჯური, ხოლო გაზის - სექტორში ზღვრული ტარიფები. პარლამენტის დაგეგმვების თანახმად, ელექტროენერჯის წარმოების ტარიფი ეტაპობრივად უნდა დარეგულირდეს და მან უნდა ასახოს მომხმარებლების სხვადასხვა კატეგორიების მომსახურების სხვადასხვა ღირებულება. ძნელი სათქმელია რას გულისხმობს აქ პარლამენტის ეს დოკუმენტი. საზოგადოდ რაც მეტია მოხმარება მით ნაკლები ჯდება მომსახურება. განვითარებულ ქვეყნებში ენერჯის მსხვილი მომხმარებელი საწარმოებისათვის ტარიფი გაცილებით დაბალია ვიდრე ოჯახებისათვის, რომლებიც ნაკლებს მოიხმარენ, მაგრამ მათ შემთხვევაში მეტია დისტრიბუციის ხარჯები.

საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ,“ რომელსაც პარლამენტის 2006 წლის 7 ივნისის დადგენილება ეყრდნობა, ენერგეტიკის რეგულირებაში განსაკუთრებულ როლს საქართველოს დამოუკიდებელ მარეგულირებელ კომისიას ანიჭებს, თავად დადგენილება კი ადგენს, რომ ენერგეტიკის ოპტიმალური მართვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ენერჯის წარმოების და მიწოდების დერეგულირება უნდა იყოს. დერეგულირება, ბუნებრივია, მარეგულირებელი კომისიის ფუნქციების შეკვეცასაც გულისხმობს. ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის ბაზრის დერეგულირებას შედეგად უნდა მოჰყვეს პირდაპირი კონტრაქტების დადება ენერჯის მწარმოებლებს და მომხმარებლებს შორის. სადღეისოდ უკვე დერეგულირებულია 10 მეგავატზე ნაკლები

¹³ ეს საკითხი დეტალურად იქნება წარმოდგენილი ტარიფებისადმი მიძღვნილ ანგარიშში.

¹⁴ ასეთი არის საერთაშორისო პრაქტიკა.





სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია¹⁵; ნაწილობრივ არის დერეგულირებული ბუნებრივი გაზის მიწოდებაც.

თავი 4: ორმხრივი და რეგიონული თანამშრომლობა

კავკასიის ქვეყნების ენერგეტიკული სისტემები საბჭოთა კავშირის ერთიან ენერგეტიკულ სივრცეს ეკუთვნოდა და მათ შორის ენერგეტიკული რესურსების, ელექტროენერგიისა და გაზის გადადინება თავისუფლად მიმდინარეობდა. ამჟამად, პარლამენტის დადგენილებით, საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მნიშვნელოვან ამოცანად მიჩნეულია ამიერკავკასიის ქვეყნებთან, ჩრდილოეთ კავკასიასთან, თურქეთთან და ირანთან ერთიანი ენერგეტიკული სივრცის შექმნა, რათა, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ამ ქვეყნებთან ელექტროენერგიის გაცვლა.

ამისთვის აუცილებელია, რომ აღნიშნული ქვეყნების ელექტროენერგეტიკის სისტემების ოპერატორებთან გაფორმდეს გრძელვადიანი თანამშრომლობა, რაც ხელს შეუწყობს ენერგეტიკული რესურსების ექსპორტ-იმპორტსა და ტრანზიტს. საერთო ენერგეტიკული ბაზრის შექმნისთვის საჭიროა ასევე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია, რაც ჯერჯერობით მხოლოდ დეკლარირებული პოლიტიკის დონეზეა.

საქართველოს ხელისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის მაქსიმალურად გამოყენებას და დასავლეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის ჩამოყალიბებას. ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის შემდგომი გაღრმავება პარლამენტის დადგენილებაშიც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პრიორიტეტის რანგშია აყვანილი, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით არ არსებობს დეტალურად გაწერილი ხედვა იმისა, თუ კონკრეტულად რა როლი უნდა ითამაშოს საქართველომ ამ კუთხით და როგორ უნდა შეძლოს მან ამ როლის შესრულება.

დასკვნა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება ასახავს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის არსებულ დონეს და სახავს მისი განვითარების პერსპექტივებს. როგორც ამ დოკუმენტის ანალიზიდან ირკვევა, ის არ არის საკმარისად დეტალური და ზოგ შემთხვევაში გარკვეულ წინააღმდეგობებსაც შეიცავს, კერძოდ:

- (1) **ბუნებრივ გაზთან მიმართებაში:** თუ ქვეყნის ამოცანა თვითკმარი ენერგეტიკული სექტორის შექმნა და ადგილობრივ რესურსებზე ორიენტაციაა, გაუგებარია, რატომ უნდა მოხდეს ძვირი იმპორტირებული ბუნებრივი გაზის მოხმარების გაფართოების ხელშეწყობა. გარდა ამისა, თუ ქვეყანა გეგმავს შეამციროს იმპორტირებული ბუნებრივი გაზის მოხმარება, რამდენად გამართლებული შეიძლება იყოს ძვირადღირებული გაზსაცავის აშენება, მით უმეტეს, რომ რეგიონის ენერგეტიკულ

¹⁵ დამოუკიდებელი მარეგულირებლის ცნობით, 10 მეგავტზე ნაკლები სიმძლავრის ელექტროსადგურების მფლობელები დერეგულირებით კმაყოფილნი არ არიან და მათი მხრიდან არის მცდელობა, რომ თავიანთი გენერაცია რეგულირების ჩარჩოში გადაიყვანონ.





სისტემაში ინტეგრაციას ვაპირებთ, რაც მეზობელი ქვეყნების გაზსაცავების დაქირავების საშუალებასაც მოგვცემდა?

- (2) **ალტერნატიულ, არატრადიციულ ენერგეტიკულ წყაროებთან მიმართებაში:** ქარის გენერაციის გარდა საერთო ენერგეტიკულ ბალანსში არ არის გათვალისწინებული არც ერთი სხვა ალტერნატიული წყაროს (მზე, გეოთერმული, ბიოგაზი) გამოყენების პერსპექტივა¹⁶. მართალია, ბიოგაზის წარმოება ძვირია, მაგრამ ქვეყანას, რომელსაც ტურიზმის სწრაფი განვითარების სურვილი აქვს, გააზრებული უნდა ჰქონდეს ცხოველური და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის და მისგან ბიოგაზისა და სუფთა სასუქის წარმოების პერსპექტივა. საყოფაცხოვრებო და ცხოველური ნარჩენების უტილიზაცია, მისგან ბიოგაზისა და სუფთა სასუქის წარმოება აუცილებელია როგორც სანიტარული, ისე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით.
- (3) **ტრადიციულ ენერჯის წყაროსთან (შეშა) მიმართებაში:** დღევანდელი მდგომარეობით საერთოდ არ არის დათვლილი საწვავ შეშას რა სემენტი უჭირავს ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში. მისი როლი და გამოყენების შესაძლებლობა არც სამომავლო პერსპექტივაშია გააზრებული და გაანგარიშებული. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დადგინდეს როგორია და როგორი შეიძლება მომავალში იყოს ენერჯიაზე მოთხოვნა ქვეყანაში.
- (4) **რაც შეხება ქვანახშირს:** ეკონომიკურად ხელსაყრელი პირობების მქონე ნახშირის საბადოების ექსპლუატაცია და ქვანახშირის ბაზაზე ახალი ტექნოლოგიებით ელექტროენერჯის წარმოება მისაღები შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოხდება საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად. და ამ სტანდარტების დაცვა კანონით უნდა იყოს გარანტირებული. სადღეისოდ საამისო საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს.
- (5) **ენერგოეფექტურობასთან (ენერჯის დაზოგვა) მიმართებაში:** ხელისუფლებას აქვს ზოგადი ხელვა ენერგოეფექტიანობის (ენერჯის დაზოგვის) აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ეს მიმართულება ენერგეტიკული პოლიტიკის პრიორიტეტად არ არის გაცხადებული და არც მისი განხორციელებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზაა შექმნილი. არადა ენერგოდაზოგვით მიღებული ეკონომიის გათვალისწინების გარეშე ქვეყნის მოხმარების დინამიკის დათვლა შეუძლებელია.
- (6) **საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაფართოებასთან მიმართებაში:** საქართველო აზერბაიჯანთან, თურქეთთან ან/და უკრაინასთან ერთად ერთ-ერთი რგოლია ვრცელ სატრანზიტო ჯაჭვში. მას შეუძლია სატრანზიტო არხი გახდეს დამატებითი რესურსებისთვისაც, თუ მოხერხდება ამ რესურსების ცენტრალური აზიიდან კავკასიაში გაზის შემთხვევაში (ექსკლუზიურად მილსადენით) ტრანსკასპიური მილსადენით, ნავთობის შემთხვევაში მილსადენით ან ტექნოლოგიურად ინოვაციური ბრტყელძირიანი მაღალი ტევადობის ტანკერებით გადმოზიდვა. ამისთვის

¹⁶ აქ საუბარია საქართველოს ელექტროენერჯის ბაზრის განვითარების ათწლიან გეგმაზე, რომელიც შექმნილია ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 2006 წელს.





განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის შიდაპოლიტიკურ სტაბილურობას. არსებული სატრანზიტო ფუნქციის შემდგომი გაფართოებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად პატივს სცემს სატრანზიტო ქვეყნის ხელისუფლება უკვე დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და რამდენად შესწევს მას უნარი, მაღალი ნდობის რეიტინგი მოიპოვოს რესურსების როგორც მწარმოებელი, ისე მომხმარებელი ქვეყნების ხელისუფლებების მხრიდან (რამდენად განსხვავებული და რთულიც არ უნდა იყოს ამ ქვეყნების გეოპოლიტიკური კონტექსტი).

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიმართულებები, როგორც ეს არის გაცხადებული საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 8 ივნისის დადგენილებაში და 1997 წლის კანონში “ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ” ასახავს საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში არსებულ მდგომარეობას და მისი განვითარების მოკლევადიან პერსპექტივას. ენერგეტიკული სექტორის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივა უნდა შემუშავდეს ენერგოდაზოგვითი პოლიტიკის და ტრადიციული (საწვავი შეშა) და არატრადიციული ენერჯის წყაროების (მზე, ქარი, გეოთერმული, ბიოგაზი) პოტენციალის გათვალისწინებით.

